საქართველოს მთავრობის

დადგენილება №160

2017 წლის 29 მარტი

ქ. თბილისი

„საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში ხელფასისა (თანამდებობრივი და წოდებრივი სარგოების) და ხელფასზე (ფულად სარგოზე) დანამატის ოდენობების განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 ივლისის №387 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში ხელფასისა (თანამდებობრივი და წოდებრივი სარგოების) და ხელფასზე (ფულად სარგოზე) დანამატის ოდენობების განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 ივლისის №387 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 31.07.2015, 130000000.10.003.018773) შეტანილ იქნეს ცვლილება და:

1. დადგენილებით დამტკიცებული №9 დანართი ამოღებულ იქნეს.

2. დადგენილებით დამტკიცებული №19 დანართის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის №19[1] დანართი:

„დანართი №19[1]

დროებითი მოთავსების უზრუნველყოფის სამმართველო

თანამდებობა	**თანამდებობრივი სარგოს განაკვეთი (ლარი)**
სამმართველოს უფროსი	2115
სამმართველოს უფროსის მოადგილე, სამსახურის უფროსი	2000
სამსახურის უფროსის მოადგილე, განყოფილების უფროსი	1295
განყოფილების უფროსის მოადგილე, ქვეგანყოფილების უფროსი, განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა ინსპექტორი	1210
უფროსი ინსპექტორი, მთავარი სპეციალისტი	1020
ინსპექტორი, წამყვანი სპეციალისტი	950
უმცროსი ინსპექტორი, სპეციალისტი	820.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2017 წლის 30 მარტიდან.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**